საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 916-02
29/06/2020

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული სავალდებულო რეკომენდაციების ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტისთვის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების'' მე-19 მუხლის პირველი პუნქტის და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ”თ” ქვეპუნქტის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N 01-227/ო ბრძანების „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული სავალდებულო რეკომენდაციები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტისთვის“ ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო რეკომენდაციები განათავსოს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
3. ბავშვის განვითარების ინსტიტუტში კონტროლი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N 01-227/ო ბრძანების „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ და ამ ბრძანების დებულებათა შესრულებაზე დაევალოს ბავშვის განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციულ მენეჯერს ელენე ჩიქოვანს.

4. დაევალოს კანცელარიას, ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
5. ბრძანება ძალაში შედის 2020 წლის 1 ივლისიდან.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი